საქართველოს
პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და
წესების კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბულ. 26

N 12395
27/10/2015

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის დავით საგანელიძის ადგილმონაცვლის ვლადიმერ აჩბას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2015 წლის 26 ოქტომბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული მასალები საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის დავით საგანელიძის ადგილმონაცვლის ვლადიმერ აჩბას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა 2015 წლის 26 ოქტომბერს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ ვლადიმერ აჩბას დამოკიდებულება არ გამოვლინდა და იგი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ არსებული მონაცემებით აღრიცხვაზე არ იმყოფება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ ცნობილ იქნეს ვლადიმერ აჩბას პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

გიორგი კახიანი

თავმჯდომარე